# შპს “სტარ არ ჯი”

# ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის*
*დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

**შპს „სტარ არ ჯი“**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
*(ქართულ ლარში)*

შინაარსი


დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ........ 3-6

*ფინანსური ანგარიშგება*

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ........ 7
სრული შემოსავლის ანგარიშგება ........ 9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება ........ 11
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება ........ 13

შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ........ 15
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა ........ 15
3. ფული და ფულის ექვივალენტები ........ 21
4. მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები ........ 21
5. ძირითადი საშუალებები ........ 22
6. დებიტორული დავალიანება ........ 22
7. კრედიტორული დავალიანება ........ 22
8. საგადასახადო ვალდებულებები ........ 23
9. საკუთარი კაპიტალი ........ 23
10. საერთო მოგება ........ 23
11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი ........ 24
12. სხვა ფინანსური შემოსავლები და ხარჯები ........ 24
13. წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან ........ 24
14. ფინანსური რისკების მართვა ........ 25
15. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან ........ 27
16. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ ........ 27

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სტარ არ ჯი“-ს ხელმძღვანელობას

**მოსაზრება**

ჩავატარეთ შპს „სტარ არ ჯი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის "პირობითი მოსაზრების საფუძველი" ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება შენიშვნა N2-ში აღწერილ პრინციპებს.

**პირობითი მოსაზრების საფუძველი**

კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2020 წელს, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2019 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებით ვერ დავადასტურეთ 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 8,028,203 ლარის ღირებულებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით წლის ბოლოს კომპანიის სალაროებში ჩატარებულ ფულის დათვლის პროცედურას. ჩვენ ალტერატიული პროცედურებით ვერ დავადასტურეთ 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორე სალაროში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 5,681 ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის

კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**მნიშვნელოვანი გარემოებები**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგრიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად და, ამის გამო, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის. ყურადღებას ვამახვილებთ მე-2 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა. ფინანსური ანგარიშგების მიზანია კომპანიას დაეხმაროს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) გადასვლაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორულ ფირმას. მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებლია ხელმძღვანელობა.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული მმართველობითი ანგარიშგება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას;
- არის თუ არა შესაბამისობაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებაში.

**სხვა გარემოებათა აბზაცი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში წარმოდგენილი შესადარისი მონაცემები არ არის აუდირებული.

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

- ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:
- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება

გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

25 სექტემბერი 2020

შპს „აუდიტ+“

______________________________

ნინო კალანდაძე

დირექტორი / გარიგების პარტნიორი

შპს „სტარ არ ჯი“
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
*(ქართულ ლარში)*

უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

25 სექტემბერი 2020

შპს „აუდიტ+“

ნინო კალანდაძე

დირექტორი / გარიგების პარტნიორი

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | | **31.12.2019** | **31.12.2018** | **31.12.2017** |
|---|---|---|---|---|
| | **შენიშვნა** | **ლარი** | **ლარი** | **ლარი** |
| **აქტივები** | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 3 | 118,637 | 1,073,174 | 541,452 |
| მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები | 4 | 8,028,203 | 6,632,021 | 8,444,784 |
| ძირითადი საშუალებები | 5 | 4,986,631 | 2,738,794 | 3,375,633 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 6 | 4,842,353 | 4,172,212 | 3,576,681 |
| არამატერიალური აქტივები | | 245 | 571 | 898 |
| სხვა ფინანსური მოთხოვნები | 8 | 455,545 | - | - |
| **სულ აქტივები** | | **18,431,614** | **14,616,772** | **15,939,448** |
| | | | | |
| **ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 7 | 2,795,190 | 1,063,886 | 2,107,752 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 8 | - | 596,535 | 799,326 |
| **სულ ვალდებულებები** | | **2,795,190** | **1,660,421** | **2,907,078** |
| | | | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| საკუთარი კაპიტალი | 9 | 9,900,600 | 9,900,600 | 9,900,600 |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | 9 | 3,366,241 | 3,055,751 | 3,120,407 |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | 5 | 2,369,583 | - | 11,363 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **15,636,424** | **12,956,351** | **13,032,370** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **18,431,614** | **14,616,772** | **15,939,448** |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს.

____________________________ ____________________________

ლევან შერვაშიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

**შპს „სტარ არ ჯი“**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
*(ქართულ ლარში)*

შპს „სტარ არ ჯი“
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
*(ქართულ ლარში)*

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | | 31.12.2019 | 31.12.2018 | 31.12.2017 |
|---|---|---|---|---|
| | შენიშვნა | ლარი | ლარი | ლარი |
| **აქტივები** | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 3 | 118,637 | 1,073,174 | 541,452 |
| მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები | 4 | 8,028,203 | 6,632,021 | 8,444,784 |
| ძირითადი საშუალებები | 5 | 4,986,631 | 2,738,794 | 3,375,633 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 6 | 4,842,353 | 4,172,212 | 3,576,681 |
| არამატერიალური აქტივები | | 245 | 571 | 898 |
| სხვა ფინანსური მოთხოვნები | 8 | 455,545 | - | - |
| **სულ აქტივები** | | 18,431,614 | 14,616,772 | 15,939,448 |
| | | | | |
| **ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 7 | 2,795,190 | 1,063,886 | 2,107,752 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 8 | - | 596,535 | 799,326 |
| **სულ ვალდებულებები** | | 2,795,190 | 1,660,421 | 2,907,078 |
| | | | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| საკუთარი კაპიტალი | 9 | 9,900,600 | 9,900,600 | 9,900,600 |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | 9 | 3,366,241 | 3,055,751 | 3,120,407 |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | 5 | 2,369,583 | - | 11,363 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | 15,636,424 | 12,956,351 | 13,032,370 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | 18,431,614 | 14,616,772 | 15,939,448 |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს.

STAR AR CE
248432753

ლევან შერვაშიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | | **2019 წელი** | **2018 წელი** |
|---|---|---|---|
| | **შენიშვნა** | **ლარი** | **ლარი** |
| ამონაგები | 10 | 59,317,134 | 54,361,590 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 10 | (53,217,967) | (48,737,017) |
| მიწოდების ხარჯები | 10 | (2,102,251) | (1,489,838) |
| **საერთო მოგება** | | **3,996,916** | **4,134,735** |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 11 | (791,357) | (1,528,539) |
| სხვა ფინანსური შემოსავალი | 12 | 595,533 | 606,083 |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 12 | (149,209) | (237,020) |
| მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან | 13 | (287,672) | 68,745 |
| განსაკუთრებული შემოსავლები | | 17,032 | 24,459 |
| აუდიტორული მომსახურების ხარჯი | | (15,000) | (12,712) |
| **მოგება გადასახადით დაბეგვრამდე** | | **3,366,241** | **3,055,751** |
| მოგების გადასახადი | | | |
| **წლის მოგება** | | **3,366,241** | **3,055,751** |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს.

ლევან შერვაშიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „სტარ არ ჯი“
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
*(ქართულ ლარში)*

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | | 2019 წელი | 2018 წელი |
|---|---|---|---|
| | შენიშვნა | ლარი | ლარი |
| ამონაგები | 10 | 59,317,134 | 54,361,590 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 10 | (53,217,967) | (48,737,017) |
| მიწოდების ხარჯები | 10 | (2,102,251) | (1,489,838) |
| **საერთო მოგება** | | 3,996,916 | 4,134,735 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 11 | (791,357) | (1,528,539) |
| სხვა ფინანსური შემოსავალი | 12 | 595,533 | 606,083 |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 12 | (149,209) | (237,020) |
| მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან | 13 | (287,672) | 68,745 |
| განსაკუთრებული შემოსავლები | | 17,032 | 24,459 |
| აუდიტორული მომსახურების ხარჯი | | (15,000) | (12,712) |
| **მოგება გადასახადით დაბეგვრამდე** | | 3,366,241 | 3,055,751 |
| მოგების გადასახადი | | | |
| **წლის მოგება** | | 3,366,241 | 3,055,751 |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს.

STAR AR GE
248432753

ლევან შერვაშიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მოგება დაბეგვრამდე | | 3,366,241 | 3,055,751 |
| **კორექტირებები:** | | | |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 5 | 148,818 | 897,706 |
| უცხოურ ვალუტაში ოპერ. მიღებული მოგება | | (27,289) | (15,867) |
| გადაფასების რეზერვი | 5 | 3,132,958 | - |
| **საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:** | | | |
| ცვლილება მარაგებში | 4 | 1,396,182 | 1,812,763 |
| ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში | 6 | (1,125,686) | (595,531) |
| ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში | 7 | 1,731,304 | (1,043,866) |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 8 | (596,535) | (202,791) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | 5,233,629 | 3,908,165 |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა | 5 | (37,361) | (276,091) |
| ძირითადი საშუალების გადაფასება | 5 | (3,132,958) | - |
| ძირითადი საშუალებების გასვლა | 5 | 10,615 | 4,188 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | (3,159,704) | (271,903) |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| გადახდილი დივიდენდები | 9 | (3,055,751) | (3,120,407) |
| **წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან** | | (3,055,751) | (3,120,407) |
| სავალუტო კურსის ეფექტი | | 27,289 | 15,867 |
| ნაშთი წლის დასაწყისში | | 1,073,174 | 541,452 |
| წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში | | 981,826 | 515,855 |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს** | 3 | 118,637 | 1,073,174 |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს.

ლევან შერვაშიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „სტარ არ ჯი“
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
*(ქართულ ლარში)*

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მოგება დაბეგვრამდე | | 3,366,241 | 3,055,751 |
| **კორექტირებები:** | | | |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 5 | 148,818 | 897,706 |
| უცხოურ ვალუტაში ოპერ. მიღებული მოგება | | (27,289) | (15,867) |
| გადაფასების რეზერვი | 5 | 3,132,958 | - |
| **საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:** | | | |
| ცვლილება მარაგებში | 4 | 1,396,182 | 1,812,763 |
| ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში | 6 | (1,125,686) | (595,531) |
| ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში | 7 | 1,731,304 | (1,043,866) |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 8 | (596,535) | (202,791) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | 5,233,629 | 3,908,165 |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა | 5 | (37,361) | (276,091) |
| ძირითადი საშუალების გადაფასება | 5 | (3,132,958) | - |
| ძირითადი საშუალებების გასვლა | 5 | 10,615 | 4,188 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | (3,159,704) | (271,903) |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| გადახდილი დივიდენდები | 9 | (3,055,751) | (3,120,407) |
| **წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან** | | (3,055,751) | (3,120,407) |
| სავალუტო კურსის ეფექტი | | 27,289 | 15,867 |
| ნაშთი წლის დასაწყისში | | 1,073,174 | 541,452 |
| წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში | | 981,826 | 515,855 |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს** | 3 | 118,637 | 1,073,174 |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს.

STAR AR GE
248432753

ლევან შერვაშიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

## კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

| | საწესდებო კაპიტალი | ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| | ლარი | ლარი | ლარი | ლარი |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს** | 9,900,600 | - | 3,055,751 | 12,956,351 |
| კაპიტალის ზრდა/შემცირება | - | - | - | - |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | - | - | 3,366,241 | 3,366,241 |
| გადახდილი დივიდენდები | - | - | (3,055,751) | (3,055,751) |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | - | 2,369,583 | - | (2,369,583) |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს** | 9,900,600 | 2,369,583 | 3,366,241 | 15,636,424 |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს.

ლევან შერვაშიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „სტარ არ ჯი"
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
*(ქართულ ლარში)*

## კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

| | საწესდებო კაპიტალი | ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| | ლარი | ლარი | ლარი | ლარი |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს** | 9,900,600 | - | 3,055,751 | 12,956,351 |
| კაპიტალის ზრდა/შემცირება | - | - | - | - |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | - | - | 3,366,241 | 3,366,241 |
| გადახდილი დივიდენდები | - | - | (3,055,751) | (3,055,751) |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | - | 2,369,583 | - | (2,369,583) |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს** | 9,900,600 | 2,369,583 | 3,366,241 | 15,636,424 |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს.

ლევან შერვაშიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

## 1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „სტარ არ ჯი“ (შემდგომში „კომპანია") არის 2007 წლის 15 ნოემბერს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის N16.

კომპანიის წილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| სს STARWOOD ORMAN URUNLERI SANAYA ANONIM SIRKETI | 74,7% |
| შპს სამრალ | 10% |
| იაშა შერვაშიძე | 5% |
| ლევან შერვაშიძე | 5% |
| შეკ ისმაილ აკკი | 5% |
| მეჰმედ ილდიზი | 0,3% |

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მერქან-ბურბუშელოვანი და მერქან-ბოჭკოვანი ფილების ლამინირება-რეალიზაცია. 2019 და 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 1 საწარმოო შენობას. რომელსაც ასევე იყენებს სასაწყობე მიზნებისთვის.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 40 (2018 - 40).

## 2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

### მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის“ სამსახურში წარსადგენად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგრიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია მენეჯმენტის მიერ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნაზე იგი შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, სააღრიცხვო სტანდარტების სერთაშორისო საბჭოს მიერ გამოშვებული დამატებების, სტანდარტსა და ინტერპრეტაციებში ცვლილების შესაბამისად. აქედან გამომდინარე სანამ კომპანია პირველად მოამზადებს ფასს-თან სრულად შესაბამისობაში მყოფ ფინანსურ ანგარიშგებას და განსაზღვრავს გადასვლის თარიღს ფასს 1-ის შესაბამისად, ფასს-ზე გადასვლის ფინანსური ინფორმაციის ცვლილების შესაძლებლობა ვერ გამოირიცხება.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

**სააღრიცხვო პოლიტიკა**

*<u>უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები</u>*

კომპანიას სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

| | **აშშ დოლარი** | **ევრო** |
|---|---|---|
| გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს | 2.8677 | 3.2095 |
| გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს | 2.6766 | 3.0701 |

*<u>ფული და ფულის ექვივალენტები</u>*

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

*<u>ფინანსური ინსტრუმენტები</u>*

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად ან გასაცემად. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, აღირიცხება ხარჯებში.
კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.
ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.
ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“ (სღაფა), დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში..

სღაფა ფინანსური აქტივების ხელახალი შეფასებისას წარმოქმნილი მოგება ან ზარალი მოიცავს ნებისმიერ დივიდენდს ან გამომუშავებულ საპროცენტო სარგებელს და აღიარდება მოგება-ზარალში.
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.
დებიტორული დავალიანების გაუფასურება დაფუძნებულია კომპანიის მიერ გადასახდელების მოკრების წარსულ გამოცდილებაზე, დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ. დებიტორული დავალიანებისთვის საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტდება საეჭვო ვალების რეზერვში. საეჭვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში. ყველა სხვა ფინანსური აქტივისთვის, საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით.
თავდაპირველი აღიარების შემდგომ დებიტორული დავალიანება იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით), გაუფასურებით გამოწვეული ნებისმიერი ზარალის გამოკლებით.
კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს როდესაც, სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

*ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია და თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულების აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (სღაფა) ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალში.
ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

*ძირითადი საშუალებები*

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. წრფივი მეთოდის გამოყენება იწვევს ცვეთის თანაბარი თანხების დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა 5 წელი.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

*არამატერიალური აქტივები*

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

*სასაქონლო-მატერიალური მარაგები*

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილ მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

*მოგების გადასახადი*

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა და პერიოდის დამოუკიდებლად.

საქართველოს საგადასახადო დაბეგვრის სისტემის თავისებურების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის დამფუძნებლებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

*კაპიტალი*

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

*შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება*

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართიანი ღირებულების შეფასებიბსას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

ახალი სტანდარტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა სტანდარტი, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებისთვის, ადრეული გამოყენების დაშვებით. ფასს 9 აერთინებს ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირება. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, შესადარისი ინფორმაცია სავალდებულო არ არის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას. ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

კომპანიას დაგეგმილი აქვს ახალ სტანდარტზე გადასვლა, შედარების ინფორმაციის ხელახალი ფორმულირების გარეშე. შესაბამისად კომპანია არ მოელის მნიშვნელოვან ზემოქმედებას ბალანსსა და კაპიტალზე ფასს 9-ზე გადასვლის შემდეგ.

ფასს 15 „შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

ახალი სტანდარტი გამოიცა 2014 წლის მაისში და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე. სტანდარტი განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის ასახვისთვის. სტანდარტის მიხედვით შემოსავლის აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.
სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება დასაშვებია.
ფასს 15-ზე გადასვლის ზეგავლენა უმეტესად შეეხება წინა პერიოდებს და გამოხატულია დებიტორული დავალიანების და შესაბამისი რეზერვის გამოქვითვით. ფასს 15-ზე გადასვლა არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას 2017 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე.

ფასს 16 „იჯარა“

ახალი სტანდარტი გამოიცა 2016 წლის იანვარში და ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. დასაშვებია ადრეული გამოყენებაც, მაგრამ არა კომპანიის ფასს 15-ზე გადასვლამდე. სტანდარტის გარდამავალი დებულებები ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებს. მოიჯარეს უფლება აქვს აირჩიოს სრული ან შეცვლილი რეტროსპექტული მეთოდით. იჯარის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადახდების შესრულებაზე და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას საბაზრო აქტივის გამოყენებაზე იჯარის პერიოდის განმავლობაში. მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებების მიხედვით და ამორტიზაციის ხარჯები აქტივის გამოყენების უფლების შესაბამისად.მოიჯარეები ასევე ვალდებულები არიან აწარმოონ საიჯარო ვალდებულებების გადაფასება გარკვეული გარემოებების დადგომის დროს.
მეიჯარე განაგრძობს იჯარის კლასიფიცირებას იგივე კლასიფიკაციის გამოყენებით, როგორიცაა ბასს 17-ით და განასხვავებს ორის ტიპის იჯარას: ფინანსური და საოპერაციო იჯარა.
ახალი სტანდარტის მიხედვით მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. კომპანია ფასს 16-ს გამოიყენებს მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. ფასს 16-ზე გადასვლა არსებით ზეგავლენას არ მოახდენს 2017 წლის შემოსავლის ანგარიშგებაზე.

## 3 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

| | **31.12.2019** | **31.12.2018** |
|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 5,681 | 1,046 |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 72,618 | 1,071,839 |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 40,338 | 289 |
| **სულ** | **118,637** | **1,073,174** |

## 4 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

| | **31.12.2019** | **31.12.2018** |
|---|---|---|
| საქონელი | 5,277,762 | 4,808,263 |
| ნედლეული და მასალები | 288,251 | 520,142 |
| მზა პროდუქცია | 2,099,976 | 988,979 |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 362,214 | 314,637 |
| **სულ** | **8,028,203** | **6,632,021** |

## 5 ძირითადი საშუალებები

| | მიწა | შენობა | მანქანა-დანადგარები | ოფ. აღჭურვილობა | ავეჯი | კომპ. ტექნიკა | სპეც. ინსტრუმენტები | სხვა ძირ. საშუალებები | გადაფასების რეზერვი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს** | **1,114,308** | **2,778,391** | **8,002,088** | **1,255** | **46,322** | **4,663** | **36,655** | **30,456** | **-** | **11,742,234** |
| შეძენა | - | - | 28,020 | 2,873 | - | - | - | 6,469 | 3,132,958 | **37,361** |
| გასვლა | - | - | 27,123 | - | - | - | 2,744 | - | - | **29,867** |
| გადაფასება | - | - | 3,107,865 | 160 | 14,098 | 1,449 | 9,386 | - | - | **3,132,958** |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს** | **1,114,308** | **2,778,391** | **8,002,985** | **4,128** | **4ს6,322** | **4,663** | **33,911** | **36,925** | **-** | **12,021,633** |
| **დაგროვილი ცვეთა 31.12.2018** | - | (1,266,432) | (7,936,096) | (576) | (38,836) | (3,700) | (29,704) | - | - | **(9,275,343)** |
| ცვეთა | - | 123,643 | 20,267 | 215 | - | 269 | 1,098 | - | 763,375 | **148,492** |
| გადაფასების შემცირება (ცვეთა) | - | - | 757,656 | 58 | 3,199 | 526 | 1,936 | - | - | **763,375** |
| **დაგროვილი ცვეთა 31.12.2019** | **-** | **(1,393,075)** | **(7,937,658)** | **(791)** | **(38,836)** | **(3,969)** | **(30,256)** | **-** | **-** | **(9,404,585)** |
| **ნარჩენი ღირებულება 31.12.2018** | ***1,114,308*** | ***1,511,959*** | ***65,992*** | ***679*** | ***7,485*** | ***963*** | ***6,951*** | ***30,456*** | **-** | ***2,738,794*** |
| **ნარჩენი ღირებულება 31.12.2019** | ***1,114,308*** | ***1,385,316*** | ***2,415,536*** | ***3,439*** | ***18,385*** | ***1,617*** | ***11,105*** | ***36,925*** | **-** | ***4,986,631*** |

## 6 დებიტორული დავალიანება

| | **31.12.2019** | **31.12.2018** |
|---|---|---|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 4,486,850 | 3,814,810 |
| მომწოდებელზე გადახდილი ავანსები | 331,575 | 333,473 |
| საბაჟოზე გადახდილი ავანსები | 23,928 | 23,929 |
| **სულ** | **4,842,353** | **4,172,212** |

## 7 კრედიტორული დავალიანება

| **სავაჭრო ვალდებულებები** | | |
|---|---|---|
| | **31.12.2019** | **31.12.2018** |
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი | 2,709,265 | 1,037,640 |
| მიღებული ავანსები | 84,680 | 25,004 |
| გადასახდელი ხელფასები | 1,245 | 1,242 |
| **სულ** | **2,795,190** | **1,063,886** |

## 8 სხვა ფინანსური ვალდებულებები (მოთხოვნები)

| | **31.12.2019** | **31.12.2018** |
|---|---|---|
| გადასახდელი მოგების გადასახადი | 1,243,791 | 774,762 |
| არარეზ. იურ. პირის დარიცხული საშემოსავლო | 8,330 | (7,390) |
| არარეზ. იურ. პირის დაკავ. საშემოსავლო | 3,364 | 3,115 |
| დარიცხული საშემოსავლო გადასახადი | 346,118 | 226,453 |
| საშემოსავლო გადასახადით ანგარიშსწორება ბიუჯეტთან | 169,275 | 65,923 |
| ადგ. მომწ. გადახდილი დღგ | (2,355,805) | (2700) |
| დღგ ბანკით გადახდილი | - | (574,538) |
| გადასახდელი აქციზი | 528 | 528 |
| ქონების გადასახადი | 112,053 | 84,569 |
| მიწის გადასახადი | 34,900 | 27,919 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | (2,711) | (2,711) |
| გადასახდელი დივიდენდები | 1,272 | 605 |
| **სულ** | **(455,545)** | **596,535** |

კომპანია არის "ოქროს სიის" მონაწილე, შესაბამისად სარგებლობს გამარტივებული საბაჟო პროცედურებით და იმპორტის გადასახდელების გადახდის განსხვავებული ვადით.

## 9 საკუთარი კაპიტალი

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 9,900,600 ლარს. 2019 წლის განმავლობაში გადაფასების რეზერვი შეადგენს 2,369,583 ლარს. 2019 წლის საწყისი დაგროვილი მოგება შეადგენს 3,055,751 ლარს, ხოლო მიმდინარე წლის მოგება 3,366,241 ლარს. 2019 წელს გაიცა დივიდენდი 3,055,751 ლარის ოდენობით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგება არის 3,366,241 ლარი. სულ კაპიტალმა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 15,636,424 ლარი.

## 10 საერთო მოგება

| | **2019** |
|---|---|
| შემოსავალი რეალიზაციიდან ადგილობრივი | 41,191,391 |
| შემოსავალი რეალიზაციიდან ექსპორტი | 18,139,569 |
| გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა | (13,825) |
| **ამონაგები** | **59,317,135** |
| გაყიდული / შეძენილი საქონელი | (52,775,817) |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება | (386,508) |
| სხვა პირდაპირი ხარჯები | (55,642) |
| მიწოდების ხარჯები | (2,102,251) |
| **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება** | **(55,320,218)** |
| **საერთო მოგება** | **3,996,917** |

## 11 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

| | **2019** |
|---|---|
| ცვეთა და ამორტიზაცია | 148,818 |
| შრომის ანაზღაურება | 508,257 |
| საოფისე ხარჯები | 44,392 |
| გადასახადები | 34,464 |
| ბანკის საკომისიო | 18,788 |
| რემონტი | 15,729 |
| სხვა საერთო ხარჯები | 35,907 |
| **სულ** | **806,355** |

## 12 სხვა ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

| | **2019** |
|---|---|
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 595,533 |
| ფინანსური ხარჯები | (385) |
| ზარალი კონვერტაციის შედეგად | (137,346) |
| საქველმოქმედო ხარჯები | (625) |
| სხვა არასაოპერაციო ზარალი | (10,853) |
| **სულ** | **446,324** |

2019 წლის 31 დეკემრის მდგომარეობით კომპანიას სს "საქართველოს ბანკში" გააჩნია დეპოზიტური ანგარიში 3 ვალუტაში (GEL, USD, EUR). აღნიშნულ ანგარიშზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 2019 წლის 31 დეკემრისთვის შეადგინა 9,717 ლარი. სხვა ფინანსური შემოსავლები შედგება მზა პროდუქციის ხარისხის ცვლილებისგან მიღებული სარგებლით, დროებითი რეჟიმით მიღებული დასადგამის (პალეტების) უკან დაბრუნებით გამოწვეული კურსთა სხვაობის შედეგად და მომწოდებლისგან მიღებული ფასდათმობით (ბონუსი).

- ✓ მზა პროდუქციის ხარისხის ცვლილება გამოწვეულია გემიდან გადმოტვირთვის ან საწყობში მოტანამდე ტრანსპორტირების შედეგად წარმოქმნილი უმნიშვნელო დაზიანების გამო.
- ✓ მომწოდებლისგან მიღებული ფასდათმობით (ბონუსი). ბონუსის სისტემა გულისხმობს ერთგვარ წახალისებას მომავალი სავაჭრო მიზნებისათვის, რომელსაც დამოუკიდებლად საზღვრავს მომწოდებელი.

## 13 წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან

| | **2019** |
|---|---|
| დადებითი საკურსო სხვაობები | 5,070,786 |
| უარყოფითი საკურსო სხვაობები | (5,358,459) |
| **წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან** | **(287,672)** |

## 14 ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- სავალუტო რისკი.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და

ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

*საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

*ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ხელმძღვანელობის პოზიციით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

| | **1 წელზე <** | **1 წლიდან 5 წლამდე** | **5 წელზე <** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 118,637 | - | - | 118,637 |
| დებიტორული დავალიანება | 4.842,353 | - | - | 4.842,353 |
| **აქტივები** | **4,960,990** | **-** | **-** | **4,960,990** |
| კრედიტორული დავალიანება | 2,795,190 | - | - | 2,795,190 |
| საგადასახადო ვალდებულებები | - | - | - | - |
| **ვალდებულებები** | **2,795,190** | **-** | **-** | **2,795,190** |
| **ბალანსი** | 2,165,800 | - | - | 2,165,800 |

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

| | **1 წელზე <** | **1 წლიდან 5 წლამდე** | **5 წელზე <** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 1,073,174 | - | - | 1,073,174 |
| დებიტორული დავალიანება | 4,172,212 | - | - | 4,172,212 |
| **აქტივები** | **5,245,386** | **-** | **-** | **5,245,386** |
| კრედიტორული დავალიანება | 1,063,886 | - | - | 1,063,886 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 596,535 | - | - | 596,535 |
| **ვალდებულებები** | **1,660,421** | **-** | **-** | **1,660,421** |
| **ბალანსი** | **3,584,965** | **-** | **-** | **3,584,965** |

*<u>სავალუტო რისკი.</u>*

2019 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით:

| | **მონეტარული ფინანსური აქტივები** | **მონეტარული ფინანსური ვალდებულებები** | **წმინდა პოზიცია** |
|---|---|---|---|
| აშშ დოლარი | 25,353 | (48,650) | (23,297) |
| ევრო | 1,260,044 | (2,271,753) | (1,011,708) |

2018 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით:

| | **მონეტარული ფინანსური აქტივები** | **მონეტარული ფინანსური ვალდებულებები** | **წმინდა პოზიცია** |
|---|---|---|---|
| აშშ დოლარი | 102,462 | (79,517) | 22,945 |
| ევრო | 1,120,589 | (673,308) | 447,281 |

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.
გარდა კომპანიის მოგება-ზარალზე არსებული გავლენისა, არ არსებობს სხვა ზეგავლენა კომპანიის კაპიტალზე გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად. ეს რისკი გაანგარიშებული იყო კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობიარობა სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებისას ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში

| **31 დეკემბერი 2019** | **ზეგავლენა მოგება-ზარალზე** |
|---|---|
| აშშ დოლარის 10%-თ გამყარება | (2,330) |
| აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება | 2,330 |
| | |
| **31 დეკემბერი 2018** | **ზეგავლენა მოგება-ზარალზე** |
| აშშ დოლარის 10%-თ გამყარება | (2,294) |
| აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება | 2,294 |

**15 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან**

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 217,807 ლარს.

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს თურქული კომპანია STARWOOD ORMAN URUNLERI SANAYA ANONIM SIRKETI (ს.ნ 4453/2674), რომელიც არის კომპანიის ერთერთი მომწოდებელი.

| **ნაშთები 31 დეკემბერს:** | **2019** | **2018** |
|---|---|---|
| დებიტორული დავალიანება | - | - |
| კრედიტორული დავალიანება | 2,613,054 | 993,773 |

**შპს „სტარ არ ჯი“**

მმართველობის ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

31 დეკემბერი 2019

**სარჩევი**

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
2. დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი
3. კომპანიის განვითარების გეგმები
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ
5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
6. კომპანიის რისკების მიმოხილვა და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ
7. ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „სტარ არ ჯი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 29 სექტემბერს.

____________________________ ____________________________

| | |
|---|---|
| ლევან შერვაშიძე | ლაშა ბერიძე |
| აღმასრულებელი დირექტორი | მთავარი ბუღალტერი |

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „სტარ არ ჯი"-ს (შემდგომში - „კომპანია") მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 29 სექტემბერს.

ლევან შერვაშიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლამა ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

**დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი**

ბატონებო,

გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

1. კომპანიამ მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქრთველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიმჩნევია რაიმე არსებითი შეუსაბამობები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქრთველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული 1-ლი და მე-2 პუქნტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აბზაცებთან, რომელიც მიჯნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს, ერთად.

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებულნი არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე7-პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინოფრმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩნებლები;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კოპმპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

2020 წლის 25 სექტემბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

**29 სექტემბერი 2020 წელი**

----------------------------

დირექტორი / გარიგების პარტნიორი

შპს „აუდიტ+“

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის დასაბუთებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

2020 წლის 25 სექტემბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

29 სექტემბერი 2020 წელი

დირექტორი / გარიგების პარტნიორი

შპს „აუდიტ+“

29

## კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „სტარ არ ჯი" (შემდგომში „კომპანია") არის 2007 წლის 15 ნოემბერს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო,ქ. ბათუმი, გენ. ა.აბაშიძის ქ.,№16.

კომპანიის საქმიანობაა მერქან-ბურბუშელოვანი და მერქან-ბოჭკოვანი ფილების ლამინირება-რეალიზაცია

## კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას

ასეთის არსებობის შეთხვევაში

## ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას ქ. ბათუმი გენ ა. აბაშიძის #16-ში გააჩნია (საწყობები) 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით სადაც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.

კომპანია ახორციელებს იმპორტს თურქეთის რესპუბლიკიდან და აწვდის საქართველოს ყველა რეგიონში და გადის ექსპორტზე. მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის მიერ განხორციელებული შეკვეთით.

## საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩნებლები

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 40 (2018 – 40).

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს კოპანიის საქმიანობას. კომპანიის სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის პარტნიორთა კრება ირჩევს დირექტორს (დირექტორებს), რომლებსაც ეკისრებათ კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, წარმოადგენენ კომპანიის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე, აგრეთვე ორგანიზებას უწევს კრების გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს. დირექტორი უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაამტკიცოს კომპანიის ნორმატიული დოკუმენტები და საშტატო განრიგი, მიიღოს და გაანთავისუფლოს სამუშაოდან თანამშრომლები, წაახალისოს ან დასაჯოს ისინი კომპანიაში არსებული შინაგანაწესის შესაბამისად.

კომპანიის 40 თანამშრომლიდან 34 მამაკაცია და 6 ქალი. თანამშრომლები არიან დაზღვეულები და მუდმივად ხდება მათი მატერიალური და სოციალური უფლებების დაცვა.

კომპანიაში დიდი ყურადღება ექცევა ფინანსური დარღვევების გამოვლინებას, თუმცა მსგავსი კომპანიაში არ გამოვლენილა. დანაშაულის პრევენციის მიზნით მაქსიმალურად არის გამარტივებული

და ხელმისაწვდომი საბანკო მომსახურება იმ თანამშრომელთათვის, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ფინანსებზე და კომპანიის კუთვნილი თანხების ჩარიცხვაზე.

## კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდურობის ცხრილი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშვნებში .

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

**სავალუტო რისკი**

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარსა და ევროში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. ანალიზი სავალუტო რისკების შესახებ 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით. ანალიზი საპროცენტო განაკვეთის რისკების შესახებ 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში .

**ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.**

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

| | |
|---|---|
| ლევან შერვაშიძე | ლაშა ბერიძე |
| აღმასრულებელი დირექტორი | მთავარი ბუღალტერი |

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარსა და ევროში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. ანალიზი სავალუტო რისკების შესახებ 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით. ანალიზი საპროცენტო განაკვეთის რისკების შესახებ 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში .

**ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.**

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

ლევან შერვაშიძე
აღმასრულებელი დირექტორი

STAR AR CE

ლაშა ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

34